საიდ. №73259/03

IR 1167184

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №161-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, დ. ჭიჭინაძე, ლ. ახობაძის მდივნობით განიხილა კომპანიის ,,აკციონერნოე დრუჟესტვო ბულგარტაბაკ-ჰოლდინგ" (AKTSIONERNO DROUJESTVO "BULGARTABAC HOLDING") (მის.: 1000 სოფია, ბულგარეთი, 62 გრაფ იგნატიევ სტრ.: "Graf Ignatiev" Str. 62, BG-1000 SOFIA) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №161-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 ივნისის №1675/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის - ,,THE HOUSE OF PREMIUM

TOBACCO“ (საიდ. N73259/03 IR 1167184) დაცვის მინიჭება საქართველოში 34-ე და 35-ე კლასის საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე და 35-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 ივნისის №1675/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარდგენილ ნიშანს ,,THE HOUSE OF PREMIUM TOBACCO" (საიდ. N73259/03 IR 1167184) არ აქვს განმასხვავებლობა განცხადებული საქონლის და მომსახურების ნაწილის მიმართ, ვინაიდან, შედგება მხოლოდ ისეთი სიტყვებისაგან, რომლებიც აღწერს იმ საქონელს და მომსახურებას, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭება და შედგება მხოლოდ საქონლისა და მომსახურების სახეობის, ხარისხის, თვისებების, დანიშნულებისა და გასაღების ადგილის მახასიათებლისგან, რაც ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტების თანახმად, წარმოადგენს ნიშნის დაცვაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,THE HOUSE OF PREMIUM TOBACCO" (საიდ. N73259/03 IR 1167184) შეცდომაში შემყვანია 32-ე კლასის საქონლის ჩამონათვალისათვის, რაც ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ასევე წარმოადგენს სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველს. აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-4 მუხლის „გ“, „დ“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანიის ,,აკციონერნოე დრუჟესტვო ბულგარტაბაკ-ჰოლდინგ“ წარმომადგენელი ლილიანა დარახველიძე არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, 34-ე კლასის საქონლისათვის და 35-ე კლასის მომსახურებისათვის სასაქონლო ნიშანი ,,THE HOUSE OF PREMIUM TOBACCO" არ შეიძლება ჩაითვალოს აღწერილობით ნიშნად, ვინაიდან ძირითადი აზრობრივი დატვირთვა მოდის სიტყვათა კომბინაციაზე ,,THE HOUSE". ამ კლასებისათვის ნიშანი შეიძლება ჩაითვალოს ფანტაზიურად, რადგან სასაქონლო ნიშანი აღწერს სახლს, რომელშიც ცხოვრობს ელიტარული თამბაქო. აქედან გამომდინარე განცხადებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალისათვის სტიყვიერი ელემენტები ,,THE HOUSE OF PREMIUM TOBACCO" ფანტაზიურია.

სააპელაციო საჩივარს თან ერთვის სასაქონლო ნიშნის ,,THE HOUSE OF PREMIUM TOBACCO" (საიდ. N73259/03 IR 1167184) სხვადასხვა ქვეყნებში რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთები.

გარდა ამისა, აპელანტი თანხამაა შეზღუდოს განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი 34-ე კლასის საქონლისა და 35-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის სახით: ,,34 კლასი - თამბაქო, მწეველთა საკუთვნო, ასანთები, სიგარეტები, სიგარები, სიგაროლები, სანთებელები მწეველებისთვის, თუთუნი, დამუშავებული, ან მანიპულირებული, თამბაქოს ნაწარმი, სიგარეტის ფილტრები, სიგარეტის ქაღალდები, საფერფლეები მწეველებისთვის“ (34 - Tobacco; smokers' articles; matches; cigarettes, cigars; cigarillos; lighters for smokers; tobacco-raw, manipulated or processed; tobacco products; cigarette filters; cigarette paper; ashtrays for smokers), 35 კლასი - ,,რეკლამა; ბიზნესის მართვა; ბიზნესის

ადმინისტრირება; ოფისის ფუნქციები; სარეკლამო ტესტების გამოქვეყნება; რადიორეკლამა; რეკლამა პოსტერების საშუალებით; ნიმუშებისა და მოდელების გავრცელება; სარეკლამო მასალის გავრცელება; გასაღების რეკლამირება; სარეკლამო სააგენტოები; სატელევიზიო რეკლამა; ადმინისტრაციული საქმიანობა და ადგილობრივი და საერთაშორისო კომერციული გარიგებების მართვის სერვისი; ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული კონსულტაციები; ბაზრის კვლევა და მიმოხილვა; ბიზნესის მართვისათვის საჭირო კონსულტაციები; დახმარება კომერციულ ან სამრეწველო საწარმოების მართვაში; მხარდაჭერა ბიზნესის მართვაში; გამოფენების და ბაზრობების ორგანიზება კომერციული და სარეკლამო მიზნით; გარე რეკლამა ბილბორდებზე; სარეკლამო მომსახურება გარე პოსტერების, სარეკლამო პანელების და კედლის ზედაპირის გამოყენებით; საქონლის დემონსტრირება; რეკლამის მომზადება და დაბეჭდვა ბეჭდური, აუდიო, ვიდეო, რადიო, ტელევიზიის და ელექტრო მედიის საშუალებით; რეკლამა გლობალური კომპიუტერული ქსელის საშუალებით; იმპორტ-ექსპორტის სააგენტოები“ (35 - Advertising; business management; business administration; office functions; publication of publicity texts; radio advertising; advertising through posters; distribution of samples, models, patterns; dissemination of advertising matters; sales advertising; advertising agencies; TV advertisements; administrative activities and services for management of domestic and international commercial transactions; consultations connected with the business management; marketing surveys and researches; consulting services for business management; management of business or industrial enterprises assistance; support in business management; organization of exhibitions and fairs with commercial and advertising purposes; outdoor advertising with billboards; advertising services using outdoor posters, advertising panel and wall surfaces; demonstration of goods; preparation and publishing of advertisements through printed, audio, video, radio, television and electronic media; advertising through the global computer network; actualization of advertisement matters; import-export agencies). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო

ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 ივნისის №1675/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის - ,,THE HOUSE OF PREMIUM TOBACCO“ (საიდ. N73259/03 IR 1167184) დაცვის მინიჭებას საქართველოში 34-ე და 35-ე კლასის საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუქნტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „THE HOUSE OF PREMIUM TOBACCO“ (საიდ. N73259/03 IR 1167184) ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „უმაღლესი ხარისხის თამბაქოს სახლი“. აღნიშნულ სასაქონლო ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნა „THE HOUSE” წარმოადგენს ფანტაზიურ ელემენტს 34-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, შესაბამისად 34-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, ნიშანი ვერ ჩაითვლება აღწერილობით და

არაგანმასხვავებელუნარიან სასაქონლო ნიშნად, რადგან ნიშანი არ შედგება მხოლოდ აღწერილობითი და არაგანმასხვავებელუნარიანი ელემენტებისაგან.

განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება ასევე, 35-ე კლასის შემდეგი მომსახურების მიმართ: „რეკლამა; ბიზნესის მართვა; ბიზნესის ადმინისტრირება; ოფისის ფუნქციები; სარეკლამო ტესტების გამოქვეყნება; რადიორეკლამა; რეკლამა პოსტერების საშუალებით; ნიმუშებისა და მოდელების გავრცელება; სარეკლამო მასალის გავრცელება; გასაღების რეკლამირება; სარეკლამო სააგენტოები; სატელევიზიო რეკლამა; ადმინისტრაციული საქმიანობა და ადგილობრივი და საერთაშორისო კომერციული გარიგებების მართვის სერვისი; ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული კონსულტაციები; ბაზრის კვლევა და მიმოხილვა; ბიზნესის მართვისათვის საჭირო კონსულტაციები; დახმარება კომერციულ ან სამრეწველო საწარმოების მართვაში; მხარდაჭერა ბიზნესის მართვაში; გამოფენების და ბაზრობების ორგანიზება კომერციული და სარეკლამო მიზნით; გარე რეკლამა ბილბორდებზე; სარეკლამო მომსახურება გარე პოსტერების, სარეკლამო პანელების და კედლის ზედაპირის გამოყენებით; საქონლის დემონსტრირება; რეკლამის მომზადება და დაბეჭდვა ბეჭდური, აუდიო, ვიდეო, რადიო, ტელევიზიის და ელექტრო მედიის საშუალებით; რეკლამა გლობალური კომპიუტერული ქსელის საშუალებით; იმპორტ-ექსპორტის სააგენტოები“. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ სასაქონლო ნიშანში გამოყენებული სიტყვიერი ელენტი „THE HOUSE” დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მომხმარებელს მიანიშნებს საქონლის გასაღების ადგილზე, შესაბამისად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი აღწერილობითია 35-ე კლასის შემდეგი მომსახურების მიმართ: „ბიზნესის მართვა; ბიზნესის ადმინისტრირება; იმპორტ-ექსპორტის სააგენტოები“. აღნიშნული მომსახურება დაკავშირებულია საქონლით ვაჭრობასთან და იმპორტ-ექსპორტთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპლაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უნდა მიენიჭოს დაცვა 34-ე კლასის სრული განცხადებული საქონლის ჩამონათვალისათვის და 35-ე კლასის მომსახურების შემდეგი, შეზღუდული ჩამონათვლისათვის: „რეკლამა; ოფისის ფუნქციები; სარეკლამო ტესტების გამოქვეყნება; რადიორეკლამა; რეკლამა პოსტერების საშუალებით; ნიმუშებისა და მოდელების გავრცელება; სარეკლამო მასალის გავრცელება; გასაღების რეკლამირება; სარეკლამო სააგენტოები; სატელევიზიო რეკლამა; ადმინისტრაციული საქმიანობა და ადგილობრივი და საერთაშორისო კომერციული გარიგებების მართვის სერვისი; ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული კონსულტაციები; ბაზრის კვლევა და მიმოხილვა; ბიზნესის მართვისათვის საჭირო კონსულტაციები; დახმარება კომერციულ ან სამრეწველო საწარმოების მართვაში; მხარდაჭერა ბიზნესის მართვაში; გამოფენების და ბაზრობების ორგანიზება კომერციული და სარეკლამო მიზნით; გარე რეკლამა ბილბორდებზე; სარეკლამო მომსახურება გარე პოსტერების, სარეკლამო პანელების და კედლის ზედაპირის გამოყენებით; საქონლის დემონსტრირება; რეკლამის მომზადება და დაბეჭდვა ბეჭდური, აუდიო, ვიდეო, რადიო, ტელევიზიის და ელექტრო მედიის საშუალებით; რეკლამა გლობალური კომპიუტერული ქსელის საშუალებით“ (35 - Advertising; office functions; publication of publicity texts; radio advertising; advertising through posters; distribution of samples, models, patterns; dissemination of advertising matters; sales advertising; advertising agencies; TV advertisements; administrative activities and services for management of domestic and international commercial transactions; consultations connected with the business management; marketing surveys and researches; consulting services for business management; management of business or industrial enterprises assistance; support in business management; organization of exhibitions and fairs with commercial and advertising purposes; outdoor advertising with billboards; advertising services using outdoor posters, advertising panel and

wall surfaces; demonstration of goods; preparation and publishing of advertisements through printed, audio, video, radio, television and electronic media; advertising through the global computer network; actualization of advertisement matters). რაც შეეხება სასაქონლო ნიშნის სიტყვიერ ელემენტებს „PREMIUM“ და „TOBACCO“, ისინი სასაქონლო ნიშანში უნდა შევიდნენ დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, 34-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის ნაწილში, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, ხოლო 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალის: „ბიზნესის მართვა; ბიზნესის ადმინისტრირება; იმპორტ-ექსპორტის სააგენტოები“ მიმართ, არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,აკციონერნოე დრუჟესტვო ბულგარტაბაკ-ჰოლდინგ“ (AKTSIONERNO DROUJESTVO "BULGARTABAC HOLDING") სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ” სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 26 ივნისის №1675/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „THE HOUSE OF PREMIUM TOBACCO“ (საიდ. N73259/03 IR 1167184) მიენიჭოს დაცვა საქართველოში 34-ე კლასის სრული განცხადებული საქონლისა და 35-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „რეკლამა; ოფისის ფუნქციები; სარეკლამო ტესტების გამოქვეყნება; რადიორეკლამა; რეკლამა პოსტერების საშუალებით; ნიმუშებისა და მოდელების გავრცელება; სარეკლამო მასალის გავრცელება; გასაღების რეკლამირება; სარეკლამო სააგენტოები; სატელევიზიო რეკლამა; ადმინისტრაციული საქმიანობა და ადგილობრივი და საერთაშორისო კომერციული გარიგებების მართვის სერვისი; ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული კონსულტაციები; ბაზრის კვლევა და მიმოხილვა; ბიზნესის მართვისათვის საჭირო კონსულტაციები; დახმარება კომერციულ ან სამრეწველო საწარმოების მართვაში; მხარდაჭერა ბიზნესის მართვაში; გამოფენების და ბაზრობების ორგანიზება კომერციული და სარეკლამო მიზნით; გარე რეკლამა ბილბორდებზე; სარეკლამო მომსახურება გარე პოსტერების, სარეკლამო პანელების და კედლის ზედაპირის გამოყენებით; საქონლის დემონსტრირება; რეკლამის მომზადება და დაბეჭდვა ბეჭდური, აუდიო, ვიდეო, რადიო, ტელევიზიის და ელექტრო მედიის საშუალებით; რეკლამა გლობალური კომპიუტერული ქსელის საშუალებით.“ (35 - Advertising; office functions; publication of

publicity texts; radio advertising; advertising through posters; distribution of samples, models, patterns; dissemination of advertising matters; sales advertising; advertising agencies; TV advertisements; administrative activities and services for management of domestic and international commercial transactions; consultations connected with the business management; marketing surveys and researches; consulting services for business management; management of business or industrial enterprises assistance; support in business management; organization of exhibitions and fairs with commercial and advertising purposes; outdoor advertising with billboards; advertising services using outdoor posters, advertising panel and wall surfaces; demonstration of goods; preparation and publishing of advertisements through printed, audio, video, radio, television and electronic media; advertising through the global computer network; actualization of advertisement matters), სიტყვიერი აღნიშვნებისთვის: „PREMIUM" და „TOBACCO" დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: თ. ჯაფარიძე

დ. ჭიჭინაძე